ზიგმუნდ ფროიდი

Sigmund Freud

ფსიქოანალიზის შესავალი

Einführung in die Psychoanalyse

გამომცემლობა „აქტი“

თბილისი, 2023

„ფსიქოანალიზის შესავალი“ წარმოადგენს ზიგმუნდ ფროიდის ოცდაათწლიანი თავგანწირული და გულმოდგინე კვლევა-ძიების ერთგვარ შეჯამებას. მასში გადმოცემულია ოცდარვა ლექცია, რომელიც განკუთვნილია ყველა ტიპის მკითხველისათვის. ის ხიბლი, რომელიც, როგორც ამბობენ, ფროიდის ლექციების სტილს ახასიათებდა, ნაბეჭდ ტექსტსაც მსჭვალავს და იმდროინდელ მსმენელთან გამართული დიალოგი დღესაც ცოცხლად იკითხება.

ავტორი წიგნში გულწრფელად წარმოაჩენს ფსიქოანალიზის განსაცვიფრებელ სირთულეებსა და შეზღუდვებს და ისე აღწერს მის ძირითად მეთოდებსა და შედეგებს, როგორც მხოლოდ აზროვნების ახალი სკოლის ფუძემდებელსა და ოსტატს ძალუძს.

საკითხთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ოცდარვავე ლექცია მიმართულია ადამიანის ჯანსაღი გონების ცნებასა და არანორმალურ ფსიქიკას შორის არსებულ კონტრასტებზე.

ფროიდს არასოდეს შეუქმნია რეალური სახელმძღვანელო, მაგრამ „ფსიქოანალიზის შესავალი“ შეიძლება ასეთ ტექსტად იქნეს მიჩნეული. მის მიერ აღმოჩენილი ფსიქიკური პროცესების ძირითადი კანონები, განსაკუთრებით, არაცნობიერი, ნაბიჯ-ნაბიჯ არის ახსნილი მრავალი შედარების, ამბისა და სამედიცინო ისტორიიდან ამონარიდის გამოყენებით, ფსიქოანალიტიკური კვლევის სამ კლასიკურ მიმართულებაზე დაყრდნობით, ესენია – შეცდომები, სიზმრები და ნევროზული სიმპტომები.

მთარგმნელი: დიმიტრი უჩანეიშვილი
კორექტორი: ეკატერინე კვირკველია
გარეკანის დიზაინერი: გიორგი ბალახაძე
გამომცემელი: გიზო ცაცუა

თარგმანი შესრულებულია ინგლისური ენიდან

გამომცემლობა „აქტი“, 2023
ვებ-გვერდი: AKTI.GE

© iBooks

ISBN 978-9941-8-5384-5

სარჩევი

წინასიტყვაობა 5

ნაწილი I. შეცდომების ფსიქოლოგია 9

პირველი ლექცია. 9

შესავალი 9

მეორე ლექცია. 17

შეცდომების ფსიქოლოგია 17

მესამე ლექცია. 29

შეცდომების ფსიქოლოგია (გაგრძელება). 29

მეოთხე ლექცია. 45

შეცდომების ფსიქოლოგია (დასკვნა) 45

ნაწილი II. სიზმარი 64

მეხუთე ლექცია. 64

სიზმარი (სირთულეები და წინასწარი მიდგომა) 64

მეექვსე ლექცია. 77

სიზმარი (ჰიპოთეზა და განმარტების ტექნიკა) 77

მეშვიდე ლექცია. 88

სიზმარი (გამჟღავნებული შინაარსი და ფარული აზრი) 88

მერვე ლექცია. 97

სიზმარი (ბავშვობის სიზმრები) 97

მეცხრე ლექცია. 106

სიზმარი (სიზმრის ცენზურა) 106

მეათე ლექცია. 116

სიზმარი (სიზმრის სიმბოლურობა) 116

მეთერთმეტე ლექცია. 133

სიზმარი (სიზმრის მუშაობა) 133

მეთორმეტე ლექცია. 144

სიზმარი (სიზმართა მაგალითების ანალიზი) 144

მეცამეტე ლექცია. 156

სიზმარი (არქაული გადმონაშთები და ინფანტილიზმი სიზმარში) 156

მეთოთხმეტე ლექცია. 168

სიზმარი (სურვილის ასრულება) 168

მეთხუთმეტე ლექცია. 181
სიზმარი (საეჭვო პუნქტები და კრიტიკა) 181
ნაწილი III. ნევროზთა ზოგადი თეორია 192
მეთექვსმეტე ლექცია. 192
ნევროზთა ზოგადი თეორია (ფსიქოანალიზი და ფსიქიატრია) 192
მეჩვიდმეტე ლექცია. 203
ნევროზთა ზოგადი თეორია (სიმპტომების მნიშვნელობა) 203
მეთვრამეტე ლექცია. 216
ნევროზთა ზოგადი თეორია (ტრავმატული ფიქსაცია, არაცნობიერი) ... 216
მეცხრამეტე ლექცია. 227
ნევროზთა ზოგადი თეორია (წინააღმდეგობა და განდევნა) 227
მეოცე ლექცია 240
ნევროზთა ზოგადი თეორია (ადამიანის სექსუალური ცხოვრება) 240
ოცდამეერთე ლექცია. 253
ნევროზთა ზოგადი თეორია (ლიბიდოს განვითარება
და სექსუალური ორგანიზაცია) 253
ოცდამეორე ლექცია. 269
ნევროზთა ზოგადი თეორია (განვითარებისა და
რეგრესიის თეორიები, ეტიოლოგია) 269
ოცდამესამე ლექცია 284
ნევროზთა ზოგადი თეორია (სიმპტომთა განვითარება) 284
ოცდამეოთხე ლექცია. 300
ნევროზთა ზოგადი თეორია (ჩვეულებრივი ნევროზულობა) 300
ოცდამეხუთე ლექცია. 311
ნევროზთა ზოგადი თეორია (შიში) 311
ოცდამეექვსე ლექცია 326
ნევროზთა ზოგადი თეორია (ლიბიდოს თეორია და ნარცისიზმი) 326
ოცდამეშვიდე ლექცია. 341
ნევროზთა ზოგადი თეორია (გადატანა) 341
ოცდამერვე ლექცია. 356
ნევროზთა ზოგადი თეორია (ანალიტიკური თერაპია) 356
გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები 373

წინასიტყვაობა

მცირედნი აცნობიერებენ, განსაკუთრებით კი ჩვენს ქვეყანაში, რომ, თუმცა ფროიდისტული თემები იშვიათად იკავებს ადგილს „ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის“ პროგრამებში, ისინი დიდ და მზარდ ყურადღებას იპყრობს და დეტალურად მუშავდება ლიტერატურის, ისტორიის, ბიოგრაფიის, სოციოლოგიის, მორალისა და ესთეტიკის, ანთროპოლოგიის, განათლებისა და რელიგიის შემსწავლელთა მიერ. მათ შესთავაზეს სამყაროს ადრეული საბავშვო ასაკისა და პუბერტატული პერიოდის ახალი კონცეფცია და ახლებურად მოჰფინეს ნათელი ქარაქტეროლოგიას; შემოგვთავაზეს ახალი და უფრო ცხადი შეხედულება ძილის, სიზმრისა და ოცნების შესახებ და გამოავლინეს დღემდე უცნობი ფსიქიკური მექანიზმები, რომლებიც საერთოა ნორმალური და პათოლოგიური მდგომარეობებისა და პროცესებისთვის, რითიც ნაჩვენებია, რომ მიზეზობრიობის კანონი ვრცელდება შეშლილობის ყველაზე შეუსაბამო მოქმედებებსა და თვით ვერბიგერაციებზე; წავიდა საკმაოდ შორს, რათა გამოერკვია ისტერიის terra incognita[1]; გვასწავლა პათოლოგიური სიმპტომების ჩანასახშივე აღმოჩენა, რომლებიც ხშირად ნევროტული და ფსიქოტური ხასიათისაა; გამოავლინა პირველყოფილი გონების მოქმედების მექანიზმი, რომელიც იმდენად დაჩრდილული და დათრგუნვილი იყო, რომ ჩვენ მას თითქმის ვეღარ ვამჩნევდით. შექმნა და გამოიყენა სიმბოლურობის გასაღები, რათა წარსულის მრავალი მისტიკურობა აეხსნა; და, ამ ყოველივეს გარდა, განკურნა ათასობით ადამიანი, ჩამოაყალიბა პროფილაქტიკის ახლებური მეთოდი და შემოგვთავაზა ხასიათის, განწყობისა და უნარების ახალი ტესტები, აერთიანებდა რა ყველაფერში პრაქტიკასა და თეორიას იმ მხსნელი ხარისხით, როგორითაც ეს იშვიათობას წარმოადგენს.

ეს ოცდარვა ლექცია არასპეციალისტისთვის თითქმის ელემენტარული და დიალოგურია. ფროიდი გულწრფელად წარმოაჩენს ფსიქოანალიზის განსაცვიფრებელ სირთულეებსა და შეზღუდვებს და ისე აღწერს მის ძი-

1. უცნობი ტერიტორია ან ცოდნის სფერო (ლათ.) – მთარგმნელის შენიშვნა.

ნაწილი I. შეცდომების ფსიქოლოგია

პირველი ლექცია.
შესავალი

ჩემთვის უცნობია, რამდენად ახლოს შეიძლება იცნობდეთ ფსიქოანალიზს იქიდან, რაც წაგიკითხავთ ან რაც მის შესახებ გსმენიათ. მაგრამ ამ ლექციების დასახელების შესაბამისად – „ფსიქოანალიზის შესავალი“ – ვალდებული ვარ ისე ვიმოქმედო, თითქოს თქვენ არაფერი იცოდეთ ამ საგნის შესახებ და წინასწარ მითითებებს საჭიროებდეთ.

გავბედავ იმის ვარაუდს, რომ თქვენთვის შემდეგი მაინც არის ცნობილი, კერძოდ, რომ ფსიქოანალიზი არის ნევროტულად დაავადებული პაციენტების სამედიცინო მკურნალობის მეთოდი. და აქვე შემიძლია შემოგთავაზოთ მაგალითი იმისა, თუ როგორ არის, რომ ამ სფეროში დამკვიდრებული პროცედურები ზუსტად იმის საპირისპიროა, რაც წესს წარმოადგენს მედიცინაში. ჩვეულებრივ, როდესაც პაციენტს მკურნალობის მისთვის უცნობ მეთოდს ვაცნობთ, ჩვენ მინიმუმამდე ვამცირებთ მის სირთულეებს და სარწმუნო დაპირებებს ვაძლევთ მკურნალობის შედეგთან დაკავშირებით. თუმცა, როდესაც ნევროტული პაციენტის ფსიქოანალიტიკურ მკურნალობას ვატარებთ, ჩვენ სრულიად სხვაგვარად ვიქცევით. ჩვენ ვაცნობთ მას მკურნალობის სირთულეებს, მის ხანგრძლივობას, ძალისხმევასა და მსხვერპლს, რომელიც მისგან მოითხოვება. რაც შეეხება შედეგებს, ჩვენ ვეუბნებით მას, რომ არ ვაძლევთ რაიმე განსაზღვრულ დაპირებებს, რომ შედეგი დამოკიდებულია მის ქცევაზე, მის გაგებაზე, მის ადაპტირებულობასა და გამძლეობაზე. რასაკვირველია, ჩვენ შესანიშნავი საბაბი გვაქვს ასეთი მიდგომისთვის, რომელიც ესოდენ არასწორად გამოიყურება და რომელში გარკვევაც შესაძლოა, შემდეგ ლექციებში შეძლოთ.

ამდენად, ნუ გაჯავრდებით, თუ ჯერჯერობით ისევე მოგეპყრობით, როგორც ხსენებულ ნევროტულ პაციენტებს. გულწრფელად რომ გითხრათ, ვცდილობ, გადაგათქმევინოთ ჩემს მოსასმენად მეორედ მოსვლა. ამ განზრახვით, მე გიჩვენებთ ნაკლოვანებებს, რომლებიც აუცილებლობის ძალით არის დამახასიათებელი ფსიქოანალიზის სწავლებისთვის, და სირთულეებს, რომლებიც პირადი შეხედულების ჩამოყალიბების გზაზე დგას. მე გიჩვენებთ, თუ როგორი გარდაუვლობით გაქცევთ თქვენი წარსული წვრთნა და ჩვეული აზროვნება ფსიქოანალიზის ოპონენტებად და რამდენი რამ უნდა გადალა-

ხოთ საკუთარ თავში, რათა ამ ინსტინქტურ წინააღმდეგობას გაუმკლავდეთ. რასაკვირველია, მე არ ძალმიძს იმის წინასწარმეტყველება, თუ რა ხარისხის ფსიქოანალიტიკურ ცოდნას შეიძენთ ჩემი ლექციებიდან, მაგრამ გპირდებით, რომ მათი მოსმენით თქვენ ვერ ისწავლით ფსიქოანალიტიკური მკურნალობის ჩატარებას. მეტიც, თუკი მე აღმოვაჩენ ისეთ ვინმეს თქვენ შორის, ვინც არ იქნება კმაყოფილი ფსიქოანალიზთან ზერელე ნაცნობობით და ისურვებს, უფრო ღრმა ურთიერთობა დაამყაროს მასთან, მე არა მხოლოდ შევეცდები, გადავათქმევინო მას ეს, არამედ გავაფრთხილებ კიდეც, რომ ასეთი ნაბიჯი არ გადადგას. საგანთა არსებულ მდგომარეობაში ადამიანი, რომელიც ამ პროფესიას აირჩევს, გაანადგურებს საუნივერსიტეტო წარმატების ყოველგვარ შანსს, ხოლო თუ პრაქტიკოსი ექიმის კარიერას გაყვება, ის აღმოჩნდება საზოგადოებაში, რომლისთვისაც გაუგებარი იქნება მისი მიზნები, მას ეჭვითა და მტრულად მიუდგებიან და ყველა იმ ბოროტ სულს დაასევენ, რომელიც ამ საზოგადოებაშია მიმალული.

მიუხედავად ამისა, ყოველთვის საკმარისად მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც, მიუხედავად ყოველგვარი უხერხულობისა, დაინტერესებულნი არიან ყველაფრით, რაც შესაძლოა, ჯამურ ცოდნას წაადგეს. თუ თქვენ შორის ასეთები მოიძებნებიან, თუ უგულებელყოფენ ჩემს გაფრთიხლებას და დაბრუნდებიდან შემდეგ ლექციაზე, მე მივესალმები მათ. მაგრამ თითოეულ თქვენგანს აქვს უფლება, იცოდეს ფსიქოანალიზის ხსენებული სირთულეები.

უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ვაწყდებით ფსიქოანალიზის სწავლებისა და განმარტების თანდაყოლილ სირთულეებს. სამედიცინო განათლების მიღებისას თქვენ მიეჩვიეთ ვიზუალურ დემონსტრირებას. თქვენ ხედავთ ანატომიურ ნიმუშს, ქიმიური რეაქციის ნალექს, კუნთის შეკუმშვას მისი ნერვების გაღიზიანების შედეგად. მოგვიანებით თქვენ გიჩვენებენ პაციენტს, თქვენ ეცნობით მისი დაავადების სიმპტომებს, პათოლოგიური პროცესების შედეგებს, ხშირ შემთხვევაში კი დაავადების გამომწვევიც არის ნაჩვენები იზოლირებულ მდგომარეობაში. ქირურგიულ განყოფილებაში თქვენ ხდებით მოწმე ნაბიჯებისა, რომელთა მეშვეობით პაციენტს შვება ენიჭება და ნებას გრთავენ, თავად ჩაატაროთ ოპერაცია. ფსიქიატრიაშიც კი პაციენტის გასინჯვა, მიმიკის, საუბრის მანერისა და ქცევის ცვლილების საშუალებით გაწვდით მრავალ ფაქტს, რომლებიც ერთობ შთამბეჭდავია. ამგვარად, მედიცინის მასწავლებელი უმთავრესად ასრულებს მეგზურისა და ინსტრუქტორის როლს, რომელიც თან გახლავთ იმ მუზეუმში, რომელშიც თქვენ უშუალო კავშირს ამყარებთ ექსპონატებთან და რომელშიც საკუთარი დაკვირვებით რწმუნდებით იმ ახალი საგნების არსებობაში, რომლებსაც ხედავთ.

სამწუხაროდ, ფსიქოანალიზში ყველაფერი განსხვავებულადაა. ფსიქოანალიზში სხვა არაფერი ხდება, გარდა სიტყვების გაცვლისა პაციენტსა და ექიმს შორის. პაციენტი საუბრობს, ჰყვება თავისი წარსული გამოცდილებისა და არსებული შთაბეჭდილებების, ჩივილების შესახებ, აღიარებს საკუთარ

სურვილებსა და ემოციებს. ექიმი კი ისმენს, ცდილობს, მიმართულება მისცეს პაციენტის აზრებს, შეახსენებს რაღაც-რაღაცებს, აკავებს მის ყურადღებას გარკვეულ არხებში, სთავაზობს მას განმარტებებს და აკვირდება გაგების ან უარყოფის რეაქციებს, რომლებიც მან პაციენტში გამოიწვია. პაციენტის გაუნათლებელი ნათესავები – ადამიანები, რომლებზეც შთაბეჭდილებას მხოლოდ ხილული და ხელშესახები ახდენს, უპირატესად ისეთი პროცესი, როგორსაც ადამიანი კინოთეატრში აკვირდება – არასოდეს უშვებენ ხელიდან შესაძლებლობას, გამოხატონ თავიანთი სკეპტიციზმი იმასთან მიმართებით, თუ როგორ შეუძლია ვინმეს, „გაუმკლავდეს დაავადებას უბრალო საუბრით“.

რასაკვირველია, ასეთი აზროვნება იმდენადვე არაშორსმჭვრეტელურია, რამდენადაც არათანმიმდევრული. სწორედ ეს ადამიანები არიან მყარად დარწმუნებულნი, რომ პაციენტები „უბრალოდ იგონებენ“ თავიანთ სიმპტომებს. თავდაპირველად სიტყვას მაგიური ძალა გააჩნდა და ამ ძველი მაგიური ძალის ნაწილი მას დღემდე აქვს შენარჩუნებული. სიტყვით ადამიანს სხვისი გაბედნიერება ან სხვისთვის სასოწარკვეთის მოგვრა შეუძლია; სიტყვების მეშვეობით გადასცემს მასწავლებელი თავის ცოდნას მოსწავლეს; სიტყვებით იპყრობს ორატორი აუდიტორიას და განსაზღვრავს მის შეხედულებებსა და გადაწყვეტილებებს. სიტყვები ახდენს ზემოქმედებას და წარმოადგენს ადამიანებზე გავლენის მოხდენის უნივერსალურ საშუალებას. ამგვარად, ჩვენ სათანადოდ უნდა შევაფასოთ სიტყვების გამოყენება ფსიქოთერაპიაში და კმაყოფილება გამოვხატოთ, თუ შევძლებთ გავიგონოთ სიტყვები, რომლებსაც ერთმანეთს უცვლიან ანალიტიკოსი და პაციენტი.

მაგრამ ესეც კი შეუძლებელია. საუბრისთვის, რომლისგანაც შედგება ფსიქოანალიტიკური მკურნალობა, დაუშვებელია მსმენელი, არ შეიძლება მისი დემონსტრირება. რასაკვირველია, შესაძლებელია ნევრასთენიკის ან ისტერიით დაავადებულის ჩვენება ფსიქიატრიის ლექციაზე. ეს უკანასკნელი, რასაკვირველია, თავისი ჩივილებისა და სიმპტომების შესახებ ისაუბრებს, მაგრამ მეტი არაფრის შესახებ. კომუნიკაცია, რომელიც ანალიზისთვის არის აუცილებელი, შესაძლებელია მხოლოდ ექიმისადმი განსაკუთრებული ემოციური დამოკიდებულების პირობებში. პაციენტი მყისვე დუმდება, როგორც კი თუნდაც ერთ მიუკერძოებელ მოწმეს ამჩნევს. ასეთი კომუნიკაცია მისი ფსიქიკური ცხოვრების ყველაზე ინტიმურ მხარესთან არის კავშირში, იმ ყველაფერთან, რაც, როგორც სოციალურად დამოუკიდებელმა პიროვნებამ, მან სხვებისგან უნდა დამალოს. ასეთ კომუნიკაციას საქმე აქვს ყველაფერთან, რის აღიარებასაც ის, როგორც ჰარმონიული პიროვნება, საკუთარ თავთანაც ვერ შეძლებდა.

შესაბამისად, თქვენ ვერ შეძლებთ „მოისმინოთ“ ფსიქოანალიტიკური მკურნალობა. თქვენ შეგიძლიათ მხოლოდ შეიტყოთ მის შესახებ. ფსიქოანალიზს შეგიძლიათ გაეცნოთ მხოლოდ ყურმოკვრით, ამ სიტყვის უმკაცრესი გაგებით. ასეთი, მეორე ხელიდან მიღებული ცოდნა, უჩვეულო მდგომარეო-

გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები

1. ფრიდრიხ ნიცშე – ანტიქრისტე
2. ფრიდრიხ ნიცშე – სიკეთისა და ბოროტების მიღმა
3. ფრიდრიხ ნიცშე – ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
4. ფრიდრიხ ნიცშე – კერპების მწუხრი, ანუ როგორ ფილოსოფოსობენ ჩაქუჩით

5. კარლ იასპერსი – ნიცშე და ქრისტიანობა
6. კარლ იასპერსი – ფილოსოფიის შესავალი

7. სიორენ კირკეგორი – შიში და თრთოლვა
8. სიორენ კირკეგორი – სატანჯველის სახარება

9. ზიგმუნდ ფროიდი – ეგო და Id
10. ზიგმუნდ ფროიდი – მოსე და მონოთეიზმი
11. ზიგმუნდ ფროიდი – ფსიქოანალიზის შესავალი
12. ზიგმუნდ ფროიდი – უკმაყოფილება კულტურით
13. ზიგმუნდ ფროიდი – მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი
14. ზიგმუნდ ფროიდი – სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან
15. ზიგმუნდ ფროიდი – ყოველდღიური ცხოვრების ფსიქოპათოლოგია

16. ლევ შესტოვი – შემეცნების ფილოსოფია და თეორია
17. ლევ შესტოვი – შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო

18. ბერტრან რასელი – ესეები
19. ბერტრან რასელი – ქორწინება და მორალი

20. ერიხ ფრომი – ადამიანის სული
21. მიგელ დე უნამუნო – ქრისტიანობის აგონია
22. იმანუელ კანტი – მარადიული მშვიდობისკენ

23. ედმუნდ ჰუსერლი – ამსტერდამული მოხსენებები
24. ნიკოლაი ბერდიაევი – ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი

25. სვამი ვივეკანანდა – კარმა-იოგა
26. სვამი ვივეკანანდა – ბჰაქთი-იოგა
27. სვამი ვივეკანანდა – შთაგონებული საუბრები
28. სვამი ვივეკანანდა – პატანჯალის იოგა სუტრა
29. სვამი ვივეკანანდა – ძველი ინდური ფილოსოფია
30. სვამი ვივეკანანდა – მედიტაცია და მისი მეთოდები

31. მერაბ მამარდაშვილი – კარტეზიანული განაზრებანი
32. მერაბ მამარდაშვილი – ცნობიერება და ცივილიზაცია
33. მერაბ მამარდაშვილი – ლექციები ანტიკურ ფილოსოფიაში
34. მერაბ მამარდაშვილი – რაციონალურობის კლასიკური და არაკლასიკური იდეალები

35. გუსტავ ლე ბონი – მასების ფსიქოლოგია
36. გუსტავ ლე ბონი – ერების ფსიქოლოგია

37. ჯიდუ კრიშნამურტი – მედიტაცია
38. ჯიდუ კრიშნამურტი – თავისუფლება ცნობილისგან
39. ჯიდუ კრიშნამურტი – სწრაფი ცვლილებების აუცილებლობა
40. ჯიდუ კრიშნამურტი – პირველი და უკანასკნელი თავისუფლება

41. ოშო – ცნობიერების მზე
42. ოშო – საწყისთა საწყისი
43. ოშო – სიყვარულის ძალა
44. ოშო – რა არის მედიტაცია?
45. ოშო – სექსიდან სუპერცნობიერებამდე

46. ალექსანდრე ბერკმანი – ანარქიზმის ანბანი
47. ემა გოლდმანი – ანარქიზმი, ათეიზმი, ფემინიზმი

48. დ. ჰ. ლოურენსი – ფანტაზია არაცნობიერის თემაზე
49. დ. ჰ. ლოურენსი – ფსიქოანალიზი და არაცნობიერი

50. იულიუს ევოლა – ომის მეტაფიზიკა
51. იულიუს ევოლა – ვეფხვის მორჯულება

52. მაჰათმა განდი – გზა ღმერთისაკენ
53. ხოსე ორტეგა-ი-გასეტი – ეტიუდები სიყვარულზე
54. ჯორჯ ბერკლი – ტრაქტატი ადამიანური შემეცნების პრინციპების შესახებ

55. გიორგი გურჯიევი – გრძნეულთა ბრძოლა
56. გიორგი გურჯიევი – დანახული რეალური სამყაროდან
57. გიორგი გურჯიევი – ცხოვრება რეალურია მხოლოდ მაშინ, როცა „მე ვარ“
58. გიორგი გურჯიევი – ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის (წიგნი I-IV)

59. ნონა ხიდეშელი – Carpe diem
60. ნონა ხიდეშელი – მეტამორფოზა
61. ირაკლი ბრაჭული – ზეკაცის ჰერმენევტიკა

62. ავტორთა ჯგუფი – სპინოზას ფილოსოფია
63. ჟან-პოლ სარტრი – ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია

64. ჯონ სტიუარტ მილი – სოციალიზმი
65. ჯონ სტიუარტ მილი – თავისუფლების შესახებ
66. ჯონ სტიუარტ მილი – ქალთა დაქვემდებარება

67. დევიდ ჰიუმი – რელიგიის ბუნებრივი ისტორია
68. ლუდვიგ ბინსვანგერი – ეგზისტენციალური ანალიზი

69. გაბრიელ მარსელი – იყო და ფლობდე
70. არმინ ნავაბი – რატომ არ არსებობს არავითარი ღმერთი